შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა #1

ქ. თბილისი, 22 სექტემბერი, 2014 წელი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ძველი გალავანი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ გელაშვილის სახით,, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1 შპს „ძველი გალავანი“ -სთან 2014 წლის 5 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N 3/245 (გეგუთის სასახლის რეაბილიტაციის დამატებითი სამუშაოები) მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი – შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%), რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2014 წლის 5 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/245 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

საფუძველი: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ში შემოსული წერილი N გ-2314 19.09.2014.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 ს/კოდი: 204562311	შპს „ძველი გალავანი“ მის: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის 33 სს „თიბისი ბანკი” კოდი: TBCBGE22 ა/ა GE58TB0600000110467673 ს/კოდი # 231243927
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ნიკოლოზ ანთიძე	მიხეილ გელაშვილი